# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 179 ხუთშაბათი, 13 აგვისტო 1909 წ. № 179

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 [illegible], საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხულ არ ისახება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა


## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

მარგარიტა გიორგ. ასულის ქარცივაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი საფლავზე ოზურგეთის მაზრის სოფ. გურიანთაში, წმ. გიორგის ეკლესიაში, 15 აგვისტოს, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები და ძმის-წულები. (1—409—1)

თამბაქოს ქარხანა

ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ.-თ.

გამოვიდა ახალი პაპიროსები:

„ტოვარიშჩ"—20 ცალი 5 კაპ. (სამ. ფორმ.)

„დრუჟბა"—20 ცალი 5 კაპ. (წვრ. ფორმ.)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სავაჭრო სახლმა დაადგინა, ეს პაპიროსები სულ უბრალო ეტიკეტებით გამოუშვას, რომ ამით შეძლება მისცეს მომწევთ, იქონიონ ყოველთვის კარგის ღირსებისა და გემოს პაპიროსები. მოითხოვეთ ყველგან.

ნარდად მყიდველებისთვის შეკვეთილი საქონელი დამზადდება შეძლებისა და გვარად. (10—ნას.—4)

მიხაილოვის მეორე ხარისხის კერძო სასწავლებლის

## გამგეობა

აცხადებს, რომ თხოვნები მიიღება 20 მარიამობისთვემდის გამგეობის სახელზე; ეგზამენები დაიწყება 20 მარიამობისთვეში ყველა კლასში, არუწოვის სახლში.

სწავლის ქირა იგივე რჩება, მხოლოდ განაწილებული იქნება ორად: პირველი ნაწილი უნდა გადაიხადონ არა უგვიანესს პირველ ოქტომბრისა, მეორე—პირველ თებერვლისა. (5—ხალ.—2)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—27)

ექიმი კ. თ. ტუღუშაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარცე ძილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სტკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—36)

ექიმი გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—9)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სოლომონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—40)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დეიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ხაზმა და პროტეზები. აბლორონის ქუჩა, სახლი N 14, ღემიდოვისა. (0—586—224)

ექიმი კბილისა ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). მეხაგალი სემიონოვის ქ. (100—1010—2)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კბილისა ი. ვ. ჭანტურია

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. აგვალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის სახლი.) (24—310—21)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა ვ. ზიდიმანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 134)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

პ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. ზ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—5.—131)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1/2}$—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ახპიხოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

აბულაძიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^{1/2}$ ს.

არღუთინსკი—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—78)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „გუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—5—3)

დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—26)

◀ ქ უ თ ა ი ს შ ი ▶

ქალთა სკოლა პროფესიონალურ განყოფილებით ნ. ლ. მიქელაძისა

## გადავიდა

თ-დ ნიჟარაძის სახლში თფილისის ქ., ოლდენბურგის ქ. პირდაპირ. მოსწავლეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოს, ხოლო სწავლა 1 ენკენისთვეს.

სკოლაში ასწავლიან: ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, ხელოვნურ ხელსაქმეს და ჭრა-კერვას. ვისაც სურს, გარეშე ამისა ცალკე მეისწავლოს ხელოვნური ხელსაქმე და ჭრა-კერვა, იმათთვის მეცადინეობა იქნება სასწავლებელში ნაშუადღევს 4—6 ს. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება თვით სასწავლებელში. (8—კვ.—2)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინ ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა „ივერიის" მოწინავე წერილი შვეციის საყოველთაო გაფიცვის შესახებ. ჩვენ ხაზი გაუსვით იმ გარემოებას, რომ მუშათა მოძრაობის დაფასება ვაჭრულის საზომით ყოვლად შეუძლებელია. ამასთან ისიც აღვნიშნეთ, რომ ხშირად ჩვენებური სოციალ-დემოკრატები, კლასიურ ბრძოლით გატაცებულნი, ივიწყებდნენ ხოლმე ქართველ ხალხის სპეციალურ ინტერესებს. ჩვენი ეს შენიშნა „ჩანგს" არ მოსწონებია.

ძარა არ შეგვიძლიან ორ ოდე სიტყვა არ ვთქვათ იმაზე,—ამბობს „ჩანგი",—რომ ჩვენებურ მუშებისთვის არც „დროებას" მოსწონს შვეცის მუშების მაგალითი. ის ერთი მხრით ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებსაც კი იცავს, მუშებსაც სოლიდარობის გრძნობას უწოდებს—იდეალური გრძნობაა. მარა მათი მაგალითის მიბაძვას დიდ შეცდომათ უთვლის. ის „ივერია"-ს ამაში რამდენიმეთ კვერს უკრავს და თან თავს იქებს ამაზე ჩვენც არ ჩამოვრჩებით ამ მხრივ ს.-დემოკრატების დაგმობაში!

სოციალ-დემოკრატების მოქმედების ნაკლულევანებათა აღნიშვნა მუშათა მოძრაობის დაგმობას არა ნიშნავს. ჩვენ გულწრფელად ვეგებებით შვეციის მუშათა მოძრაობას, ძლიერს თავის ორგანიზაციურის ძალითა და სოლიდარობით, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენებური სოციალ-დემოკრატებიც უნდა ვაქოთ. ქება ან კიდევ ძაგება სოციალ-დემოკრატების ტაქტიკისა იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენებურ მუშებს ურჩევდეთ, შვეციის მუშების მაგალითს ნუ მიჰბაძავთო. მუშათა კლასი და სოციალ-დემოკრატია ჩვენც თქვენსავით სინონიმებად არ მიგვაჩნია, რომ ერთის შეცდომა ან ღირსება მეორეს მივაწეროთ... „ჩანგს" ჩვენი სიტყვები მოჰყავს და მერე ასეთ შენიშნას გვიკეთებს:

შვეცია სამრეწველო ცენტრია. კავკასია არა—მაშ, შვეციის ბრძოლის წესები ჩვენ აქ კი არ უნდა გამოვიყენოთ, ის მხოლოდ შვეციელებს უნდა დავულოცოთ. აქ კლასიური ბრძოლა სხვანაირად უნდა ვაწარმოვოთ, „როგორც ამას მოითხოვს ქართველი ხალხის სპეციალური ინტერესებიო", ძნელი გასაგებია რაში მდგომარეობს ეს სპეციალური ინტერესები ქართველი ხალხის, რომელნიც უარჰყოფენ შვეციის მუშების ბრძოლის წესებს, ჩვენთვის ეს სულ ახალი გაგონებაა „დროების" მხრივ, ეს კლასიური ბრძოლის ახალი „დროებისებური" სისტემაა და საერთაშორისო სოციალიზმით გატაცებული ხალხი აბა, ამას სად უნდა მიხვდეს. ის, ალბათ, საერთაშორისოს მაგიერ ადგილობრივ, „ნაციონალური სოციალიზმის" კლასთა ბრძოლა იქნება, ე. ი. სოციალური აბსურდი.

მართლა აბსურდი იქნებოდა, ეს რომ გვეთქვა. კლასიური ბრძოლა ყველგან ერთნაირია. რომელი ჭკვათა მყოფელი იტყვის, არსებობს რაღაც ეროვნული ხასიათის კლასთა ბრძოლაო. კლასთა ბრძოლა, კლასთა ბრძოლაა,—არც მეტი, არც ნაკლები. ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ შვეციაში მუშებს მხოლოდ ერთად-ერთი საბრძოლველი აქვთ—სოციალურ სამართლიანობის დამყარება. ისინი ეროვნულ ჩაგვრას არ განიცდიან, და ამიტომ მათ თავისუფლად შეუძლიანთ მთელი თავიანთი ძალ-ღონე მარტო ამ ბრძოლას შეალიონ. ჩვენში კი, სადაც სოციალურ უსამართლობას ზედ ეროვნული უსამართლობაც ერთვის, მარტო კლასიურ ბრძოლის წამოყენება წინ და **შეგნებული დაჩრდილვა ეროვნულ ინტერესებისა** თვით ხალხის კეთილ-დღეობისათვის საზარალო ხდება. ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმა კი სრულიად დაჩრდილეს ეროვნული ინტერესები, ყველა, ვინც კი ეროვნულ ინტერესების დაცვას საჭიროდ ჰხედავს, „შოვინისტებად" მონათლეს, და ეროვნული მისწრაფება დაუპირისპირეს კლასიურ ბრძოლას, როგორც სრული მისი წინააღმდეგობა. აი, ეს მიგვაჩნია ჩვენ სოციალ-დემოკრატების შეცდომად. თავისუფალ სახელმწიფოებში მუშა ხალხს შეუძლიან მხოლოდ კლასიური ბრძოლა აწარმოვოს, ჩვენში კი მარტო კლასიური ბრძოლა შეუძლებელია. ამის აღიარება, თქმა არ უნდა, „ეროვნულ ხასიათის ბრძოლის" აღიარებას არა ნიშნავს. ჩვენ არ გვითქვამს ეს, და „ჩანგი"-ც ტყუილად გარჯილა შენიშვნებისთვის.

* * *

რუსეთში 1890 წლიდან არსებობდა რუსს ლიტერატორთა და მეცნიერთა ურთ-ერთ დამხმარებელი კასსა. ამ კასსას უფრო საპენსიო კასსის ხასიათი ჰქონდა. წევრებს შეჰქონდათ დაწესებული გადასახადი და განსაზღვრულ დროს შემდეგ ეძლეოდათ პენსია. ასე მიდიოდა საქმე 18 წლის განმავლობაში და მხოლოდ ეხლა, მეცხრამეტე წელიწადს, მთავრობამ ამ კასსაში „კრამოლა" აღმოაჩინა და ერთის კალმის მოსმით მიჰკეტა იგი. საზოგადოებრივ მშვიდობიანობას და წესიერებას შიში მოელის ამ კასსისაგანაო. დარჩა ბევრი პენსიონერი უგროშ კაპეიკოდ.

ამ მოულოდნელმა ამბავმა მთელი რუსის პრესსა გააკვირვა. თვით „ნოვოე ვრემიაც" კი, რომელიც მუდამ ასეთ დაკეტვა-დარბევის მომხრეა, ამ შემთხვევაში გაშტერებული დარჩა—რა ნახა მთავრობამ ისეთი, რომ კასსა მიკეტაო, იძახის იგი ეხლა გაკვირვებული; მართლაც რა რევოლიუცია აღმოაჩინდა „კონსტიტუციონურმა მთავრობამ" ამ მშვიდობიან კასსაში? აი რა: კასსასთან 1906 წლიდან არსებობს პატარა ფონდი. ამ ფონდში სულ ოთხასი თუმანი იყო. ფონდიდან დახმარება ეძლეოდათ კასსის იმ წევრებს, რომელნიც რაიმე მიზეზით პოლიტიკურად დაისჯებოდნენ. ფონდი არავისთვის საიდუმლო არ იყო, მთავრობამაც ამ სამი წლის განმავლობაში იცოდა მისი არსებობა. ან-კი ვის რა საქმე აქვს ასეთ დახმარებასთან? ამ კასსას პოლიციასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა, ხოლო დახმარება გაჭირვებულ წევრისა, თუნდაც პოლიტიკურად დასჯილისა, როგორ და რა კანონის ძალით უნდა აეკრძალოს ვისმეს?

სამინისტრომ შემდეგი ბრალდება წაუყენა კასსას—რად დაეხმარეთ პოლიტიკურად არა სანდო კასსის წევრებს მწერალს ვიტაშევსკის, ბელეტრისტს ბრუსიანინს და გლეხ მწერალს სემიონოვსაო. ვიტაშევსკის საქმე ოცდა-ათი წლის წინად გაირჩა; მას შემდეგ იგი ლეგალურად სცხოვრობს და მონაწილეობას იღებს სხვა და სხვა ოპოზიციონურ გაზეთში. ბრუსიანინი თანამშრომელია „ნივისა", „ვესტნიკ ევროპისა" და სხვა ჟურნალებისა. ამას წინად გაირჩა მისი ლიტერატურული საქმე. სემიონოვი მწერალია გლეხთაგან, ტოლსტოის მომხრე. ეხლა იგი შვეიცარიაში სცხოვრობს. სამივე წევრი იყო საზოგადოებისა და, მაშასადამე, კანონის ძალით, კასსას სამივესთვის შეეძლო დახმარება გაეწია. მაგრამ სამინისტრომ, როგორც ეტყობა, სხვა-ნაირად შეჰხედა საქმეს და მიჰკეტა ეს სასარგებლო დაწესებულება. გაზეთები უფრო იმასა ჰკვირობენ, რომ სამინისტროს შეეძლო ხსენებული ფონდი მოესპო და აეკრძალა, ხოლო თვით კასსა დაეტოვებინა, მით უმეტეს ამ კასსის წევრებად მემარცხენე მწერლებთან ერთად მემარჯვენენიც არიან...

## დეპეშები

პეტ. რბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აგვისტო

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დეკრეტს. ამ დეკრეტით სასჯელი ეპატიებათ იმ პირთ, რომელთაც ბეჭვდითი სიტყვის შესახებ კანონები დაარღვიეს და პოლიტიკურ საქმეების ჩადენა ბრალდებოდათ.

**მეზონ ლაფიტი.** ჰაეროსტატი „ბაიარ კლემანი" ცოტად დაშავდა. ჰაეროსტატიდან გაზი გამოუშვეს და შემდეგ სანტრუვილში წაიღეს. ჩასაჯდომი კალათი მდინარე სენაში ჩაიძირა და ჯერეც არ ამოუღიათ.

**ბუენოს-აირესი.** არგენტინის სამგზავრო გემი „კოლუმბია" მონტევიდეოს ნავთსადგურში შესვლის დროს დაეჯახა გერმანიის გემს. „კოლუმბია" ჩაიძირა. დაიღუპა 150—300 კაცი, უმთავრესად ქალი და ბავშვი, გადარჩ რამდენიმე კაცი. „კოლუმბიის" კაპიტანს თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ არ გაუშვეს.

## რ უ ს ე თ ი

**მოგილევი.** (საგუბერნიო). დასჭრეს და შეიპყრეს სოფელ კოლუჯის მღვდლის და მის დის ერთი მკვლელთაგანი, მეორე მოჰკლეს, მესამეს სდევნიან.

**ოდესსა.** პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ორდერები ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა საზოგადოებისა. ამ ორდერებით დიდ-ძალი საქონელი გამოუტანიათ. დააპატიმრეს 4 კაცი, მათ შორის, ქალაქის გამგეობის ერთი მოსამსახურე.

**პეტერბურგი.** მთავარი საექიმო სამმართველომ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლითაც რუსეთში კრემატორიები (მიცვალებულთა დაწვა) უნდა გაიხსნას.

**კალუგა.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია იანოვსკი.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 29, გარდაიცვალა 12, ავად არის 339 კაცი.

**პერმი.** ქალაქში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი; მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2 კაცი.

**რიგა.** ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2 კაცი.

**მოგილევი** (საგუბერნიო). სენის დაწყებიდან აქნობამდის ავად გახდა 13, გარდაიცვალა 10 კაცი.

**ტვერი.** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

## გაპონის მოკვლა

„რუსკოე სლოვო"-ში (№ 181) დაბეჭდილია ახალი ცნობები მღვდლის გაპონის მოკვლის შესახებ. თავის დროზე სწერდნენ, რომ გაპონი სოც.-რევოლიუციონერებმა მოაკვლევინეს ღალატისთვისაო. მკვლელად ასახელებდნენ ცნობილ ს.-რევოლიუციონერს ინჟენერ რუტენბერგს, რომელსაც პარტიაში ყველა „მარტინის" სახელით იცნობდა. „რუს. სლოვოს" სადღაც უნახავს ამ რუტენბერგის მოხსენება (ცენტრალურ კომიტეტისთვის შედგენილი) გაპონის მოკვლის შესახებ. აი, რას გადმოგვცემს ეს მოხსენება.

რუტენბერგმა აგარაკი დაიჭირა ოზერკაში და 28 მარტს მიიწვია იქ გაპონის რამდენიმე თავდადებული მიმდევარი. მიიწვია აგრეთვე თვითონ გაპონიც. გაპონს უნდა მოელაპარაკნა რუტენბერგთან ს.-რევოლიუციონერთა მებრძოლ ორგანიზაციის გაცემაზე. თურმე გაპონს მთავრობის აგენტებისაგან დავალებული ჰქონია, რომელიმე რევოლიუციონერის დახმარებით მოეხერხებინა ამ ორგანიზაციის დაპატიმრება. გაპონს წინად რუტენბერგისთვის ამ საქმისთვის ასი ათასი მანეთი შეუძლევია. ოზერკაშიაც ამაზე ჰქონიათ ლაპარაკი.

მივედით აგარაკზე,—სწერს მოხსენებაში რუტენბერგი.—მუშები დამალულნი იყვნენ უკანა ოთახში. პირობა დავდეთ, რომ როდესაც წინა ოთახში გაპონს შევიყვანდი, მეორე ოთახის კარებს გავაღებდი, იქიდან მუშები გამოვიდნენ, გაპონს შეჰკრავდნენ და შემდეგ იმის გასამართლებას შევუდგებოდით. შევედით ოთახში, მაგრამ გაპონმა ხალოდ ქურქი გაიძრო და დაჯდა დივანზე, რომელიც მეორე ოთახის კარებთან იყო მიდგმული. კარების გაღება ამის გამო მოუხერხებელი გახდა. გაპონს მარტონი ვეგონეთ და თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი.

— უნდა მებრძოლ ორგანიზაციის საქმე გავათაოთ—დაიწყო გაპონმა:—რას ინაზები, ძმაო. ოცდა ხუთი ათასი მანეთი ფული არ არის?

— შენ მოსკოვში მითხარი, რომ ასი ათას იძლევიანო.

— ეგ არ მითქვამს კარგად ვერ გაგიგია. ან კი რა გელაპარაკება: 25 ათასი მანეთი-ერთი „საქმისთვის" ცოტაა?! სამი ასე „საქმე" კიდევ და ასი ათასს გაიკრავ, კარგი ფასია.

— მეშინიან, მამატყუებენ, გაიგებენ ყველაფერს და ფულს აღარ მომცემენ.

— არა, ძმაო, ეგ შეუძლებელია. ხვალ საღამოთი კიუბასთან (რესტორანია) მოდი, ათ საათზე იქ ყველაფერს ეტყვი „იმას“. „ისინი“ ფულს წესიერად იხდიან. რამწამს დარწმუნდებიან, რომ არ ატყუებ, ჩაგიჩხრიალებენ. რა თქმა უნდა, გული არ უნდა გადაუშალო და ყველაფერი ერთბაშად არ უთხრა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ამხანაგები როგორ გავცე, მეცოდებიან...

— ეგ რა სათქმელია: მათ შეუძლიანთ თავს უშველონ. შეიძლება გაქცევა მოახერხონ...

— მე? ჩვენებმა რომ გამიგონ ღალატი ხომ...

— აბა, რას ამბობ? რას დაგიმტკიცებენ! ესეც არ იყოს, იქ გიშველიან, განგებ შენც დაგაპატიმრებენ.

— განგებ შეუძლიანთ ჩამომახრჩონ კიდეც.

— რას მიედ-მოედები! როდესაც კიუბასთან მოელაპარაკები იმას, გაიგებ, რა უბრალოდ მოეწყობა ყველაფერი.

— კარგი, ვნახოთ,—მიუგო რუტენბერგმა:—შენ რაღა გერგება?

— მე თვითონაც არ ვიცი.

— შენ ეხლა მდიდარი ხარ, არა?

— ვინ გითხრა?

— ამბობენ, 30.000 მანეთი ინგლისელებისაგან მიიღე წიგნში, 50,000 მანეთიც №-საგან (ერთი ყოფილი მინისტრი).

— სულ დაიკარგა. მუშებს დავურიგე, მე რაღაც ასი თუ ორასი თუმანი-ღა მაქვს. მე ფული არ მინდა, სხვებს ვაძლევ.

— გაბრალებენ, ვითომ ფული გაგეფლანგოს.

— ტყუილია, ჭორებია.

— ყური დამიგდე, გაპონ! რას იზამ, ერთ მშვენიერ დღეს მუშებმა რომ გაიგონ შენი მეგობრობა პოლიციასთან?

— მაგას ვერასოდეს ვერ გაიგებენ. თუ გაიგეს, ვეტყვი, რომ ამას მათი საქმისთვის მათ სასარგებლოდ ვაკეთებდი.

— მე რომ გაგცე?

— შენ მაგას არ იზამ. ან ვინ დაგიჯერებს. რა საბუთები გაქვს? რა მოწმეები გყავს?

ამ დროს გაპონმა მთხოვა, საპირფარეშოს ადგილი მეჩვენებინა. სწორედ იმ ადგილას დარაჯად ერთი ჩვენი კაცი იდგა. მე ტერასაზე დავდეგ, ხოლო გაპონი იმ კაცს წააწყდა. გაპონმა შეჰყვირა, მიჰხვდა ყველაფერს,

— ყურს გვიგდებდნენ განა?!—დამიძახა მან.

მე მეორე კარი გავაღე. მუშები გამოვიდნენ.

— აი, ჩემი მოწმენი!—ვუთხარი მე.

გაპონმა გადაჰხედა შემოსულთ, ყველანი ნაცნობნი იყვნენ. სიკვდილის ფერმა გადაჰკრა. მაინც მიჰმართა მუშებს:

— ძმებო, ამხანაგებო, რა გინდათ ჩაიდინოთ?

— გაჩუმდი, შენ ჩვენი ძმა და ამხანაგი არა ხარ!

ხელად შებოჭეს გაპონი.

— ყველაფერი, რასაც მე ვაკეთებდი, თქვენთვის ვაკეთებდი, ძმებო!—იძახდა გაპონი.

— გაჩუმდი ყველაფერი ვიცით!—ეუბნებოდნენ პასუხად მუშები.

— დიად საქმისთვის ჩავიდინე ყველაფერი!—იძახდა გაპონი.

გაპონი ეხვეწებოდა, ემუდარებოდა მუშებს:

— მაპატიეთ, წარსულისთვის...

7 საათზე გაპონი უკვე მკვდარი იყო.

როგორც „რუს. სლოვო“ გადმოგვცემს, გაპონი რუტენბერგისთვის მოუკვლევინებია აზეფს. მას აზრადა ჰქონია თურმე ორი კურდღლის დაჭერა: უნდოდა რაღაც მოსაზრებით თავიდან მოეშორებინა გაპონი და ამის მოკვლის დროს დაეპატიმრებინა თითონ რუტენბერგი, რადგან იმ უკანასკნელს თავისი რაზმი ჰყავდა და ისე მოქმედებდა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა არა იცოდა-რა. ეს-კი გაპონს ძალიან აწუხებდა, რადგან უნდოდა სცოდნოდა ყველაფერი, რაც პარტიაში ხდებოდა. რუტენბერგის დაპატიმრება იმიტომ ვერ მოხდა, რომ მას წინადვე რაღაც ეჭვები ჰქონდა, რომ ცენტრალურ კომიტეტში ვიღაც გამცემელიაო და ამიტომ გაპონი ტერორიზმი-კი არ მოაკვლევინა, არამედ, როგორც კომიტეტმა დაადგინა, ოზერკაში, რაც აზეფმა არ იცოდა.

ეჭვი იმაზე, რომ ცენტრალურ კომიტეტში გამცემელია, რუტენბერგს შემდეგმა შემთხვევამ დაუბადა. როგორც ვთქვით, მას საკუთარი მებრძოლი რაზმი ჰყავდა. როდესაც მუშათა დეპუტატების საბჭო დაპატიმრეს, რუტენბერგმა გადასწყვიტა, შინაგან საქმეთა მინისტრის დურნოვოს მოტაცება და იმ დრომდე არ გაშვება, სანამ საბჭოს წევრებს არ გაანთავისუფლებდნენ. დურნოვოს გატაცება ასე უნდოდათ: მინისტრი მთელი დღით კერძო ეტლს ქირაობდა. უნდოდათ ერთ დღეს მეეტლე დაეტყვევებინათ და იმის მაგიერ თავიანთი მიეგზავნათ. რაკი მინისტრი ჩაჯდებოდა, გააქანებდნენ და დამალავდნენ.

საქმე ჩაიფუშა, რადგან ორი დღით ადრე, პეტერბურგის ერთ გაზეთში დაიბეჭდა პატარა ფელეტონი ამ სათაურით: „დურნოვოს დაპატიმრება“. ფელეტონი ოხუნჯურის კილოთი იყო დაწერილი, მაგრამ მთელი გეგმა დაწვრილებით იყო გადაცემული. აშკარა იყო, რომ ეს საქმე ჩაიდინა ვიღაცამ ცენტრალურ კომიტეტიდან. ეხლა გამოირკვა, რომ ეს საქმე აზეფს ჩაუდენია.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ორასი მანეთით დაჯარიმება „დროების“ რედაქტორისა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ბეჭდვითი საქმის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ორასი მანეთით დააჯარიმეს ჩვენი გაზეთის რედაქტორი ი. ს. აგლაძე. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორი თვით იქნება დაპატიმრებული.

✦ **„ტიფ. ლისტ.“-ს რედაქტორის დაჯარიმება.** გენ.-გუბერნატორისავე განკარგულებით ასი მანეთით დააჯარიმეს „ტიფ. ლისტ.“-ს რედაქტორი ხაჩატუროვი. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორი თვით უნდა დააპატიმრონ.

✦ **სემინარიის ძველი შენობის გაყიდვა.** „კავკ.“-ს სიტყვით, სინოდისაგან ახალი ქაღალდი მოსულია ტფ. სასულიერო სემინარიის გამგეობას სემინარიის ძველ შენობის შესახებ. სინოდი სწერს: თუ სემინარიის ძველი შენობა პუშკინის ქუჩაზე ისე დაძველდა, რომ იჯარით გაცემა შეუძლებელია, მაშინ იგი უნდა გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით და აღებულის ფულით უნდა გასტუმრებულ იქმნას ის ხარჯი, რაც სინოდს მოუვიდა ვაკეზე ახალ შენობის აგების დროსაო.

✦ **ფრინველების გამოფენა.** წელს ოქტომბერში ტფილისში გაიმართება ფრინველების გამოფენა. ამ გამოფენას მართავს ადგილობრივი ფრინველების მოამშენებელი საზოგადოება.

✦ **ერობის შესახებ.** ერობის შესახებ შემდგარმა სექციებმა როგორც ვწერდით, თავიანთი აზრი გამოსთქვეს ამა თუ იმ პრინციპიალურ საკითხზე. თანახმად სექციების რეზოლიუციებისა, მცირე სექციები შეუდგნენ ფაქტიურ მასალის შეკრებას და მოხსენებების შემუშავებას. პირველმა სექციამ საჭიროდ დაინახა გუბერნიაში სარაიონო ერთეულის შემოღება ტოპოგრაფიულისა, ეთნოგრაფიულისა და ეკონომიურ პირობათა მიხედვით. მცირე სექციამ, თანახმად ამ პრინციპიალურ გადაწყვეტილებისა, უკანასკნელ სხდომაზედ უკვე დაანაწილა გუბერნია 31 რაიონად. ტფილისის მაზრა განაწილებულ იქნება 4 რაიონად: ტფილისის ერობა, სართაჭალის რაიონის ერობა, მანგლისისა და ქალაქის ახლომახლო სოფლებისა; ბორჩალოს მაზრა 6 რაიონად იქნება განაწილებული: წალკისა, თრიალეთისა, ლორიისა პირველი და მეორე, შულავერისა და ეკატერინეფელდისა; თელავის მაზრა შეადგენს ერთს საერობო რაიონს, თიანეთის მაზრა განაწილებული იქნება ერწოდ, ფშავ-ხევსურეთად და თუშეთად; სიღნაღისა: ქიზიყისა, იორისა და მუკუზან-ანაგის რაიონებად; გორის მაზრა: სურამისა, ცხინვალისა, გორისა, ბორჯომისა (ბორჯომის რაიონში შევა აწყურის საბოქაულო), ახალქალაქისა და მესხეთისა და მეჯვრისხევის საერობო რაიონებად; ახალციხის მაზრა ერთ რაიონად იქნება, ახალქალაქის მაზრა—ბარალეთისა და ბოღდანოვის რაიონებად; დუშეთისა: მთიულ-მოხევეთა, დუშეთისა და ქსნის რაიონებად; ზაქათალის ოლქი: ბელოქან-ზაქათალისა და კახ-ალიაბათის რაიონებად.

✦ **სალდათის დახრჩობა.** პოდოლის გუბერნიიდან დაბა ლიტინიდან გვწერენ: 28 ივლისს, მდინარეში ბანაობის დროს, დაიხრჩო რაჭის მაზრის მცხოვრები, ჯარის კაცი მელიტონ მეტრეველი, 23 წლის ყმაწვილი.

✦ **სემინარია.** ტფ. სასულიერო სემინარიაში მისაღები ეგზამენები დაიწყება ორშაბათს, 17 აგვისტოს. წელს საქართველოს საეგზარხოსოდან სასულიერო სემინარიის პირველ კლასში მიღებული იქნება 100 მოსწავლე. სემინარიის ახალ შენობის კურთხევა მოხდება 31 აგვისტოს, ხოლო სწავლა დაიწყება 2 ენკენისთვეს. სემინარიის ახალ შენობაში 200 პანსიონერისათვის არის მოწყობილი ბინა.

✦ **ნინოშვილის ძეგლი.** „კასპის“ ტფილისიდან ატყობინებენ: ადმინისტრაციამ ნება დართო შეეკრიბათ ფული ნინოშვილისათვის ოზურგეთში ძეგლის დასადგმელად. ეხლა ინიციატორებმა ძეგლის დადგმაზე უარი მიიღეს.

✦ **ანგარიში.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: წ. კ. საზოგადოების სასარგებლოდ 30 ივლისს ბორჯომში გამართული სეირნობის ანგარიში: შემოსავალი: ბილეთების—252 მან., პრემიები—52 მან., ბუფეტი, ბედის ქვევრი, ... და სხ.—343 მან. 37 კ., სულ 647 მ. 37 კ. ხარჯი ... 379 მ. 25 კ., პრავიზია, სასმელები, კონფეტი და სხ.— 98 მ. 23 კ., ყვავილები—19 მ., ბავშვების სათამაშოები—5 მ., ნივთები ბედის ქვევრისათვის 13 მ. 45 კ., კუპისი, თაფლი და სხ.—23 მ. 61 კ., წასვლა-მოსვლა და ნივთების მოტანა—20 მ. 35 კ., მსახურთ—33 მ. 8 კ., პოლიციას—8 მან. სულ 268 მან. 12 კ., დარჩა—379 მ. 25 კ. სეირნობის გამმართველნი მარ. კ..დიაშვილისა და ალექ. ხუციშვილი უღრმეს მადლობას სწირავენ ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადის შრომით და შემოწირულობით ხელი შეუწყეს სეირნობის გამართვას.

✦ **შუამდგომლობა.** საქართველოს საეკლესიო ხაზინიდან ტფ. სასულიერო სემინარიის აქამდე შენობის შესანახ ხარჯებისათვის ეძლეოდა 10,000 მან. რადგან ახალ შენობას მეტი ფული სჭირდება, რადგან გადაწყვეტილი აქვთ სემინარიის ეზოში მასწავლებლების სადგურიც აგონ, სემინარიის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა სინოდის წინაშე, რომ ყოველ წლობით აღნიშნულ სემინარიას მიეცეს ხოლმე 15,000 მან. შუამდგომლობა უკვე გაუგზავნა სინოდს სემინარიის რექტორმა.

✦ **უპასპორტოები.** 11 აგვისტოს პოლიციის მე-10 ნაწილში გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 9 უპასპორტო. ამავე დღეს საღამოთი შეჰკრეს ავლაბრის ზოგიერთი ქუჩანი და შეუდგნენ ჩხრეკას. დააპატიმრეს მრავალნი.

✦ **შრომის ბირჟა.** შრომის ბირჟის გამგე წერილობით მიმართა სხვა და სხვა დაწესებულებას, დახმარება გაუწიონ ბირჟას მის მოქმედების გასაძლიერებლად.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო „სორაპნის“ ამხანაგობის მიერ გამოცემული წიგნი „ახალი ჩანგი“, შედგენილი გ. აჩჩიღაძის მიერ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, რომანსები, სონეტები,

## ჩვენებური ფილისტერობა და ეროვნული საკითხი

აწ აღარ მიკვირს, რომ ბ-ნ ანის მსგავსს მეცნიერთა და ფილოსოფოსთ დიდი გავლენა აქვთ ჩვენში! იქ, სადაც რაჟდენიძისთანა გონებით გაბრწყინებული ხალხი სწყვეტს დიდს პრობლემებსა და მთელ ერთა ბედ-იღბალს, ან-ები, რასაკვირველია, დიდ-კაცებად უნდა ჩაითვალნენ და ჩვენთვისაც დიდი ბედნიერება უნდა იყოს მათთან კამათი და საუბარი, რომ ღმერთმა რაჟდენიძისთანა ფილოსოფოსებს აგვაშოროს.

თუ არა გჯერა, მკითხველო, გულ-დასმით გადაიკითხე რაჟდენიძის პასუხი ჩემს წინააღმდეგ („ჩვენი აზრი“ № 48, „ჩანგი“ №№ 10, 14 და 22.): რა ენა, რა კილო, რა უზრდელობა, რა აზრები, რა ლოღიკა და ერთობ რა ქართულ-ესდეკური ფილოსოფია! საკვირველება რამ არის,—ასეთი სტილის პატრონი ორბელიანებს ენას უწუნებს და თავისი მგზავსნი და თავისი თავი ჰგონია ახალ ლიტერატურულ ენის შემქმნელნი! ასეთის ზრდილობის პატრონი სხვას ლანძღვა-გინებას აბრალებს, მაშინ როდესაც „სასაცილო რა გვაქვს?“ სწორედ ამ ყველას მლანძღველ ვაჟბატონთა წინააღმდეგ იყო მიმართული სხვათა შორის. ასეთი კილოს პატრონი, „აფსუსი“-თა და „ვაა“-ებით რომ ავსებს ხოლმე გაზეთის ფურცლებსა, მე მწამებს ამ ავლაბრულ კილოსა და მეუბნება „აფსუსები“ გიყვარსო, მაშინ როდესაც ამ „ავლაბარობას“ ვე ვუძრახავდი „მათს აზრსა“: მე ვეუბნებოდი—„ვაებით“, „აფსუსებით“ და „ვეპალეჩებით“ ვერას დამტკიცებთ მეთქი, რადგანაც თვითონაგვიწერდნენ—„აფსუს“ თქვენ სოციალიზმსო,—იგი კი სწერს—„ჩვენ გვერდს ავუვლით იმ ავლაბრულ კილოს, „ვავაას“ და „ვეპალეჩის“ ძახილს, რომელიც მას ასე მოსწონს და უყვარსო“! ჩემი ნათქვამით მევე მიმასპინძლდება, თითქოს ქართველს კითხვა დავიწყებოდეს და არ იცოდეს, ვინ რა სთქვა,—და ეს მას ნამუსი და ზრდილობა ჰგონია!

ეს კიდევ არაფერი: ეს ჩვეულებრივი თვისებაა ყოველ სუსტ ადამიანისა, რომელსაც ლანძღვაც-კი არ შეუძლიან ხეირიანად და საბუთიანი გაკიცხვის მაგივრად უზრდელი ტუტუცობა გამოუდის, ისიც მოწინააღმდეგისავე სიტყვითა.—ეს ვაჟბატონი დარწმუნებულია, რომ ინტელიგენციის ეკონომიური ინტერესები აიძულებს ბურჟუები იყვნენ, რადგანაც „გონებრივი მუშაობა—ერთად-ერთი სცლსარია ამ წრის ხალხის, ასეთი მუშაობა შეუძლიანთ უმთავრესად მხოლოდ თავის ერში“-ო. საზოგადოდ ინტელიგენცია ერის მარილად აცხადებს თავსაო, ამიტომაც მისთვის ერის პრობლემა არის ცენტრალური პრობლემაო და სხვა. ასეთი ველური აზრი არა ერთხელ გამოუთქვამთ ჩვენს ესდეკებს, მაგრამ ერთი რამ კი ავიწყდებათ: თუ ეს თვისებაა ინტელიგენციისა საზოგადოდ, რითი აიხსნება, რომ მთელს ევროპაში და განსაკუთრებით რუსეთში საუკეთესო ინტელიგენტთა დიდი ნაწილი სოციალიზმის გულწრფელი მომხრეა და მედგარი მებრძოლი მისი განხორციელებისათვის? ან თვით ქართველი ესდეკები ინტელიგენტები არ არიან? რატომ მათ არ აიძულებს ეკონომიური ინტერესები თბილი ადგილები მონახონ, ან გაბურჟუავდნენ, ან სხვა რამ ჩაიდინონ? იქნებ ამისი მიზეზი ისიც იყოს, რომ მათი ერთად-ერთი სახსარი „გონებრივი მუშაობა“ კი არა, სხვა რაღაც „მუშაობაა“? მაგრამ ჩვენში თუ ასეა, ევროპაში რაღა გამონაკლისს შეადგენენ ის ფილოსოფიის დოქტორებიც კი, რომელნიც სოციალისტები არიან? იქნებ მათი სულიერი ორგანიზაცია სხვანაირია და, ესდეკობისგან განწმენდილნი, ისინი აღარ ემორჩილებიან რაჟდენიძისგან აღმოჩენილ საერთო კანონს, რომელსაც ემორჩილება მთელი ინტელიგენცია? თუ ინტელიგენცია ორ ჯგუფად განიყოფება,—ესდეკური, რომელსაც ბ-ნი რაჟდენიძე ეკუთვნის, და რომელსაც არც გონებრივი მუშაობა შეუძლია, თბილ ადგილსაც არ ეძებს, და არა-ესდეკური, რომელიც მხოლოდ ინტერესებით არის გატაცებული და ცენტრალურ პრობლემად გადაუქცევია ეროვნული საკითხი? გარიბალდი, მაძინი, კოშუტი, პოლონეთისა და ირლანდიის რევოლიუციონერები, მთელი პლეიადა იმ გმირთა, რომელთაც გაანთავისუფლეს საბერძნეთი, ბოლგარია, სერბია, ყველა თბილ ადგილისათვის იღვწოდა? მეორე მხრით—მარქსი, ენგელსი, ბაკუნინი, კროპოტკინი, კაფიერო, რომელნიც ინტელიგენტებიც იყვნენ, არისტოკრატებიცა და მდიდრებიც, რათ გასოციალისტდნენ და უარ-ჰყვეს სიკეთენი ამა ქვეყნისა? ალბად, ისინი გამონაკლისნი ყოფილან ინტელიგენციის საერთო წრიდან, რომელსაც მხოლოდ კუჭის ინტერესებს! ჩვენ კი, ალბად მარტო ბ-ნნი ანი, რაჟდენიძე, მიმინო და მსგავსნი ყოფილან ისეთი ინტელიგენტები, რომელნიც ცენტრალურ პრობლემად არა ხდიან ეროვნულ პრობლემასა, და არც თბილს ადგილს ეძებენ, არამედ კაცობრიობის გარდაქმნას ემსახურებიან სრულიად უანგაროდ; ჩვენ კი, არა სოციალ-დემოკრატები, ვინც ეროვნულ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, სულ თბილ ადგილების ძებნაში ვატარებთ დროს, ჩასუქებული ბურჟუებიც იმიტომ გვიყვარს, რომ მათგან გამოველით მსუქან ნასუფრალსა, მღვდლებისაგანაც რაღაცას მოველით, თავადაზნაურობისაგანაც კიდევ... მოურავობასა და ბანკში სამსახურს! არა, ბ-ნო რაჟდენიძევ! ასეთი რამეების ლაპარაკი მხოლოდ თქვენ გეპატიებათ, თქვენის ზრდილობისა და კულტურის ადამიანს, თორემ ინტელიგენციის მაგრე ხსენება, ისიც საზოგადოდ ინტელიგენციისა, რომელსაც ეროვნულ ბრძოლის ველზედაცა ჰყავს ისეთი წარმომადგენლები, რომელთა სახელის ხსენების ღირსიც კი არა ხართ, არ ეპატიება არც ერთს ესდეკს, და აკი არც ერთი კულტურული ესდეკი აღარ სჩადის ასეთს უზრდელობას, ზოგიერთ ჩვენ ესდეკთა გარდა! რაც შეეხება პირადად მე, ვიცნობ ქართველ ესდეკთ, და მათი ნალაპარაკევი ჯავრს ვერ მომგვრის, თბილიად გილიც, მათდა საუბედუროდ, რაღაც კაიხანია ვერ მიშოვნია, რომ მიზეზი მივცე ვისმე,—ერთხელ მაინც გაილანძღოს საფუძვლიანად და სამართლიანად. ღმერთმანი, მესიამოვნება!

პრობლემათა დაყენება კი, ამა თუ იმ პრობლემის უმთავრესად დასახვა,—ეს საქმეა რწმენისა, ფიქრისა, გრძნობისა, იგი უმთავრესად ნაყოფია ძლიერ იდეა—ძალისა, რომელიც მთელ ქვეყანაზე, მრავალ საზოგადოებაში სხვა და სხვა ფრად ისახება, სხვა და სხვა გვარად ამოძრავებს გონებრივ მუშაკებს, „ინტელიგენტებს“, მოაზრეებს და აქ კუჭის ინტერესი არაფერ შუაშია. მართალია, არიან რწმენითა და იდეალებით ვაჭრებიცა, რომელნიც ფულად ჰყიდიან სინიდისსა და ყიდულობენ კიდეც, მაგრამ ასეთი ტიპები გირჩევნიათ სხვაგან მოიკითხოთ, ვიდრე თქვენის ულირს პირით შეურაცხყოთ ისეთ ადამიანთა ხსოვნა, რომელთა სულის სისპეტაკესა და სიდიადეს ვერ მიაღწევენ მთელი ს.-დემოკრატების პარტიები ერთად.

მაგრამ ეს ვაჟბატონი დარწმუნებულია თავის დიად აზრის ჭეშმარიტებაში, და მაზედ ვერავითარი არგუმენტი და მაგალითი ვერ იმოქმედებს. იგი ტიპია ქართველ ესდეკებისა. იგი, რასაკვირველია, არც ბურჟუაა, არც ფეოდალი, არც პროლეტარი. იგი არც ინტელიგენტია ორის მოსაზრებით: სწავლაში „ნედოროსლია“, „მიტროფანუშკა“,—ეს ჩვენის აზრით; თავის აზრით კი—არა ინტელიგენტი, არა თბილ ადგილის მძებნელი, რადგანაც ინტელიგენტობა ამას ნიშნავს, არამედ გამონაკლისი ამ საერთო წრიდან, განსაკუთრებული ჯიში ინტელიგენტისა (რომელსაც ალბად არც გონებრივი მუშაობა შეუძლია, არც შინ ვარგა და არც გარედ), ეს-დეკი, ისიც ქართველი ესდეკი. იგი მართლაც ფილისტერია ს-დემოკრატიზმისა და ისიც ქართულ სპეციფიკურ ს.-დ—იზმისა. ასეთი ხალხის უბედურობა სწორედ სოციალიზმია. სოციალიზმი რომ განხორციელდეს, პირდაპირ დაიღუპებიან, რადგანაც ქარხანაში ისინი არც გამოდგებიან და რომ გამოდგნენ კიდეც, ვერ იმუშავებენ მიუჩვევლობისა გამო. გონებრივად მუშაობა მართლაც არ შეუძლიანთ. და აკი იციან, რომ სოციალიზმი მაგრე მალე არ განხორციელდება, მანამდის კი სხდან არხეინად და ილანძლებიან! რომ არც იდეიურად აქვსთ შნო! გარდა იმისა, რომ არ ეინტერესებათ ჭეშმარიტება თავის თავად, თავის პროგრამასაც ვერ დაიცავენ ხოლმე, თავიანთი ავტორებიც არ იციან. ჭეშმარიტების სიყვარულს კი ვინ მოსთხოვთ, როცა კბილებითა და ბრჭყალებითაც კი იცავენ ყოველსავე აბსურდს, ოღონდ კი თავიანთი „სკოლა“ გაამართლონ! აი, რა ფილისტერთან გვაქვს საქმე, და მის წრეში ასეთ ფილისტერობის მაგალითი რამდენიც გნებავთ, იმდენია, ულევლი: ლანძღვა-გინებისა, ჯიუტობისა, უკულტურობისა, უვიცობისა და ენის უპატივ-მცემლობისაც კი (ერთგან პირდაპირ დაუწერია: **„ქვეყნის მარილსა და ხალხს შორის შავი კატაა გარბენილიო“**! ასეთი ენის პატრონი ორბელიანებს ენას უწუნებს. თავხედობა ამაზედ შორს ლა წავა! კიდევ რამდენია ამისთანები, მაგრამ ვინ გამოეკიდება!). მხოლოდ ძვირფასი მარგალიტები მოვიყვანოთ.

მე დავაყენე პრობლემა ერის დაცვისა და ეროვნულ კულტურის თავისუფალ განვითარებისა, განვიხილე რა ერი, როგორც კონკრეტული სოციალური ორგანიზმი. ჩემთვის ეროვნული საკითხი—ანუ უკეთ ვთქვათ, ჩაგრულ ერთა განთავისუფლების საკითხი—ამ ორგანიზმთა სრული თავისუფლებაა, განურჩევლად წოდების, კლასსისა და სარწმუნოებისა. ჩემთვის ეს განთავისუფლება ერთა წინ უნდა უძღოდეს აუცილებლად სოციალიზმის გაძლიერებას, რადგანაც ისტორიაში სწორედ ამ მოვლენას ვამჩნევთ, ვამჩნევთ აგრეთვე იმ არასასურველ მოვლენას, რომ სადაც ერები არ არიან განთავისუფლებულნი, იქ სოციალიზმის იდეით ნაკლებად არის ხალხი გატაცებული. ჩემთვის ეს საკითხი ერის არსებობისა, ან მის აღდგენისა, როგორც სოციალურ ორგანიზმის ინდივიდუალობის დაცვის საკითხი, განირჩევა სოციალიზმისაგან, როგორც აბსტრაქტულ მოძღვრებისაგან საზოგადოებათა შინაგან გარდაქმნის შესახებ. ჩემთვის ეს ორი საკითხი სულ სხვა

კუპლეტები, სასიმღერო და სახუმარო ლექსები, დრამატიული თხზულებანი. წიგნი ხუთას გვერდს შეიცავს და მშვენიერ ყდაშია.

✦ **გადაყვანა.** სემინარიის ინსპექტორი მღვდელი მონოზანი ვარლაამი, სინოდის განკარგულებით გადაყვანილ იქნა ხოლმის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად.

✦ **ჟანდარმთა გამგეობის რევიზია.** „ბაკუს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: კავკასიაში ჟანდარმთა გამგეობის სარევიზიოდ ჰგზავნიან ორ მოხელეს. ამ რევიზიას კავშირი აქვს „დაშნაკციუთუნის“ საქმესთან, რომლის გამოც ასამდე სომეხი და აპატიმრეს.

✦ ამ დღეებში ვერაზე შემდეგი უცნაური ამბავი მოხდა. ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს პეტრე თვალჭრელიძემ და ნინოსაათაშვილის ქალმა. როცა ჯვარ-დაწერილნი შინ მიდიოდნენ, პოლიციამ გზაზე თვალჭრელიძე დააპატიმრა. გამოირკვა, რომ თვალჭრელიძე საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული ყოფილა, მაგრამ იგი თავისნებით დაბრუნებულა.

✦ 10 აგვისტოს დიდუბეში დააპატიმრეს ბათუმის მოქალაქე დიმიტრი პუზანოვი, რომელიც საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა.

✦ 10 აგვისტოს პოლიციამ შეიპყრო გერასიმ აკოფოვის სახლიდან მოპარულ ნივთების მყიდველნი: გეურქ მიკირტუმოვი და ვასილ კვირიკაძე. დაპატიმრებულთ აღმოაჩნდათ 265 მანეთის ნივთები.

# მოწერილი ამბები

**ბელაგორი.** როგორც „დროება“-ში იყო აღნიშნული, აქაურმა სცენის მოყვარეებმა აქ დასდგეს ერისთავის პიესა „სამშობლო“. თავის თავად ცხადია, რომ ისეთ პატარა ძალას, რომელსაც აქაური სცენის მოყვარენი წარმოადგენენ, არ ძალუძს ამისთანა რთულ პიესის უნაკლულოდ ჩატარება, მაგრამ ცად ხარზე ნათქვამ ახდაზისა არ იყოს, სულ არარაობას, არც ეს არის დასაწუნი. ნაკლულოვანება თუმცა იყო, მაგრამ მოლოდინს მაინც გადააჭარბეს. საერთოდ წარმოდგენას არა უშავდარა. განსაკუთრებით უკანასკნელმა სამმა მოქმედებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. სცენაც არ იყო ურიგოდ მოწყობილი. ტანისამოსი ზოგი ქუთაისიდან მოიტანეს და ზოგი აქ შეჰკერეს. ამ პიესის დადგმამ ბევრი ხარჯი და მზადება გამოიწვია, მაგრამ რადგან შეუდგნენ მის დადგმას, არავითარ ხარჯსა და შრომას არ ერიდებოდნენ სცენის მოყვარენი იმ იმედით, რომ ხალხი თანაგრძნობას გაუწევდა და შემოსული ფული ხარჯს მაინც დაჰფარავდა. ხალხი თუმცა ბლომად დაესწრო, მაგრამ ნახევარზე მეტი უბილეთო იყო. ხარჯი ორმოც მანეთს აღემატებოდა (მარტო ტანისამოსი შეჰკერეს ოცი მანეთისა), შემოსული ფული კი ამის ნახევარიც არ იყო და დანარჩენი მათ დაატყდათ გადასახდელად. უბილეთოებს ვიღა ჩიოდა, რომ წესიერება მაინც ყოფილიყო დაცული. უბილეთო თუ ბილეთიანი ყველა წინა სკამებისკენ იწევდა და ვისაც დიდ ფასიანი ბილეთები ჰქონდა ადგილიც კი აღარ დაუთმეს, რომ დამსხდარიყვნენ. ზოგიერთები სცენის წინ აყუდნენ და აღარაფერი სჩანდა. იყო ხალხში ერთი ყვირილი და „დასხედით“, — ის ძახილი, მაგრამ არავითარი თხოვნა არ გადიოდა. აქ ბევრჯელ გამართულა წარმოდგენა, მაგრამ ამისთანა უწესოება არა ყოფილა. ტაროსმა კიდევ სულ აწეწა საქმე. დაიწყო თუ არა წარმოდგენა, წამოვიდა წვიმა. ხალხიც, რადგან გარედ ისხდა, ხან აიშლებოდა, ხან დასხდებოდა და იყო ასე არევ-დარევა. ასე გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა, წარმოდგენამ ბოლომდის ჩაიარა. დღეიდან აქ იშვიათად გაიმართება წარმოდგენები, რადგან ესეთ პირობებში შეუძლებელია ხშირად წარმოდგენების მართვა. განზრახულია სხვა სოფლებში, სადაც თვითონ იკისრებენ სცენის მოწყობას და ხარჯის გასტუმრებას, დაიდგას წარმოდგენები. სცენის მოყვარენი ყოველ წარმოდგენაზე გაჭირვებას ჰხედავენ, მაგრამ უფრო მეტ წვალებას გამოივლიდნენ, რომ მათ თანაგრძნობასა და დახმარებას არ უწევდნენ ძმები ერ. და კონ. კამკამიძეები და ქ-ნი ოლღა დოლიძისა. აქაურ სცენის მოყვარეებში ურევიან ისეთებიც, რომლებშიაც მსახიობრული ნიჭი გამოსჭვივის და მომავალი კარგს უქადის. ესენი არიან შ. სარაძე და კ. გურგენიძე.

**რიხვა.**

—

**ქ. თელავი.** თელავში არსებობს საზოგადო საკრებულო, ე. ი. კლუბი. არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის საცოდავი სადამოები, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია იმართება ზაფხულობით ყოველ კვირა. ზაფხული მოატანს თუ არა, კლუბის მამანი ადგენენ, რომ კვირაობით საცეკვაო სადამოები ჰმართონ. წევრებს, რომელნიც თითებზე ჩამოითვლებიან, უსასყიდლოდ შეუძლიანთ შესვლა, ხოლო არა წევრთ, რასაკვირველია, ფულით. შეიძლება ესეც იყოს მიზეზი, რომ არა თუ დიდების, პატარების ცეკვაობასაც ნიშნავენ და თუ კასსა დასუმბუქდა, იქნება ქალების ჭიდაობაც გამართონ, გადმოსცა ერთმა ნაცნობმა.

მაგრამ საქმე ის-კი არაა, რასა სწყვეტენ კლუბის მამანი, არამედ ის, რომ ასეთ გადაწყვეტილებას როგორ ეგებება თელავის საზოგადოება. კვირაობით დაუკრავს თუ არა სამხედრო მუზიკა, ჩვენი მშობლები ეშურებიან კლუბისაკენ, მიჰყავთ პატარა ბალღები, პატარა მოსწავლენი და „ატანცავებენ“ (იმათი ტერმინი გახლავთ). აცეკვებენ რამდენსამე საათს, დახშულ მოშხამულ ჰაერში და აინუნშიაც არავის მოსდის, თუ ყველა ეს როგორ მავნებლად მოქმედობს პატარა ბავშვებზე. რათქმა უნდა, არც დიდებისათვის არის ჰიგიენის მხრივ მაინცა და მაინც სასარგებლო ამისთანა ცეკვა თამაში, მაგრამ ამათ თუნდა კლუბში ათენ-აღამონ, მხოლოდ დროა მოისპოს პატარა ყრმათა კლუბში სიარული. უმჯობესი არ იქნება სუფთა ჰაერზე გაიყვანონ და იქ ათამაშონ? ამას გარდა რამდენი შური და მტრობა ითესება პატარების გულში, როცა ერთი მიდის და მეორე-კი შინა რჩება რაიმე მიზეზისა გამო, რამდენი ატირებული ბავშვი მინახავს, რამდენი დარჩენილა გულნაკლული, როცა მისი ტოლი და ამხანაგი კლუბში წაუყვანიათ და ის-კი სიღარიბით, ან კაბის უქონლობით შინ დარჩენილა...

თუ ჩვენ მშობლებს და კლუბის მამებს მაინცა და მაინც ჰსურთ პატარებზე ზრუნვა და მათი გართობა, ნადიმის მხარეს ბაღი ან სათამაშო ადგილი მოაწყონ ზაფხულობით (რასაც დიდი თანხა არ მოუნდება), იქ პატარებთან ერთად დიდებსაც შემთხვევა მიეცემათ ბუნებასთან ახლო იმ სიამოვნებისა, რომელსაც ეხლა მოკლებულნი არიან.

**დაჩაგრულნი.**

—

**დ. ხონი.** ადგილობრივ თეატრის დარბაზში დამლაგი გადადვამ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ეგნატე ნინოშვილი და მისი დრო“. როგორც გამოცხადებული იყო, ლექცია უნდა გამართულიყო 5 მარიამობისთვეს საღამოს 6 საათზე. მაგრამ, როგორც ყოველთვის, საზოგადოება გვიან მოვიდა. ლექციაც 8 საათზე დაიწყო, ხალხი მაინც ცოტა დაესწრო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალგაზდა ლექტორი ახალ რამეს იტყოდა ეგნატე ნინოშვილსა და მის დროზე. მაგრამ მოვტყუვდით, მან საზოგადო ფრაზებით განიმეორა ის, რაც 15 წლის განმავლობაში დაწერილა და თქმულა ჩვენს პრესაში. ეს მან თვითონვე განაცხადა და მსმენელებს უთხრა წინასიტყვაობაში, ახალს ვერაფერს გეტყვითო. ამასთან ლექცია უსულ-გულოდ წაიკითხა და საერთოდ მსმენელებზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. უბედურება კიდევ ის იყო რომ ლექტორს პირველსავე გამოსვლაზე შეეტყო ენის უცოდინარობა. მეტად ბუნდოვანათ ლაპარაკობდა. ლექცია გათავებული არ იყო, რომ დარბაზი განახევრდა და ხალხი წავიდ-წამოვიდა.

მსახიობის ბ-ნ სვიმონიძის მეთაურობით სამეგრელოსკენ გაემგზავრა დასი. დასში შედიან: ა. ყაზამბეგიშვილი, ქ-ნი ქიქარჯევი, ხონელი სცენის მოყვარენი ილია მამფორია და ილია რუხაძე. დასი მოივლის შემდეგ ადგილებს: ნოვოდალეგს, აბაშას, ახალ-სენაკსა და სხვას. ყველგან დასდგამენ ერთსა და იმავე პიესას: ვ. გუნიას „და ძმას“. როგორც გავიგე დასს უკვე გაუმართავს წარმოდგენა ახალ სენაკში.

**გ. ფაჩკუნჯი.**

# სპარსეთი

**არყისა და ბანგის გადასახადი.**

ახალმა მთავრობამ თეირანის პოლიცმეისტრის ეფრემის თაოსნობით გადასახადი დაადვა არაყსა და ბანგსა. ჰფიქრობენ, რომ ეს გადასახადი კარგს შემოსავალს მისცემს სპარსეთის ხაზინასაო. („კ.“)

**მ ა მ ე დ ი - ა ლ ი.**

შაჰად ნამყოფი მეტად დაღვრემილი და დაღონებულია. იგი მთელ დღეს თავის ოთახში ატარებს და თითქმის არავის ხმას არა სცემს, მარტო თავის საყვარელ ემირ-ჯენგბაგადურს ელაპარაკება ხოლმე სიამოვნებით.

**უარი მემკვიდრეობაზე.**

სიკვდილით დასჯილ რეაქციონერ შეიხ-ფეზლულას ვაჟიშვილმა მირმეხტიმ საჯაროდ უარი სთქვა მემკვიდრეობაზე, რომელიც მის უბედურ მამისაგან დარჩა.

**პოლიციის წესების გაუმჯობესება.**

ახალი მთავრობა სხვათა შორის ბეჯითად შეუდგა სპარსეთის პოლიციის გაუმჯობესებასაც. ამ აზრით მან 40 ყმაწვილი კაცი გაგზავნა სტამბოლის პოლიციის სკოლაში, რომელიც ამას წინად გახსნა ოსმალეთის მთავრობამ.

**საუბარი სპარსელ პოლიტიკურ მოღვაწესთან.**

ბაქოში კონსულად ნამყოფს მუაზიდ-სალთანეს, რომელიც ბოლოს დროს სტამბოლში ცხოვრობდა, ბაქოში გავლის დროს, საუბარი ჰქონია „კასპი“-ს თანამშრომელთან და სხვათა შორის უთქვამს:

„სპარსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის უმთავრესი ცენტრი იყო სტამბოლში დაარსებული ენჯუმენი „საადეთი“. თვით ნეჯეფისა და ქერბალას მთავარი მუშტეიდებიც-კი მის დარიგებით მოქმედებდნენ... თავისუფლად დატოვებული რეაქციონერები საშიში არ არიან ახალ წესწყობილებისთვის, რადგან მათ ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს.

— ახალ მთავრობას შეუძლიან შინაურ უწესოების დათრგუნვა? — უკითხავს თანამშრომელს.

— სულ მოკლე ხანში მთავრობას ეყოლება 40 ათასი ჯარის-კაცი ახალ წესზე გაწრთვნილი და შეიარაღებული. ეს ჯარი სრულიად საკმაო იქნება მთელის სპარსეთის დასამშვიდებლად.

— დასაჯერებელია რომ [illegible] შაჰის გამოცვლას აპირობენ სპარსეთში?

— ეგ ტყუილია. შაჰად არის და დარჩება კიდეც ახმედ-მირზა.

**შახსევენების ფიცი.**

ამბობენ, რუსეთის საზღვარს ახლო მცხოვრებმა შახსევენებმა ყორანზე დაიფიცეს, ყოველი ღონისძიება უნდა მოვიხმაროთ, რომ ახალი შაჰი ტახტიდან ჩამოვაგდოთ და მის მაგივრად სხვა გავამეფოთო.

# ოსმალეთის ამბები

**ოსმალეთის პარლამენტის დელეგატები.**

დიდმა ვეზირმა ხალმი-ფაშამ გამოაცხადა, რომ მომავალ შემოდგომაზე ოსმალეთის პარლამენტის დელეგატები წავლენ ბერლინსა, ვენასა, პეტერბურგში.

**აბდულ-ჰამიდი.**

აბდულ-ჰამიდის ვაჟი-შვილმა თავის მამაზე იჩივლა ოსმალეთის მთავრობასთან, საცხოვრებელ ფულს არ აძლევს დიდა ჩემსაო. მთავრობამ გადასწყვიტა, თვე და თვე გამოუზაროს ფული აბდულ-ჰამიდს პენსიიდან და პრინც ახმედის დედას ჩააბაროს ხოლმე.

**მაკედონიის საქმე.**

დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ ევროპის სახელმწიფოებმა გამოუცხადეს ოსმალეთის მთავრობას, თანახმა ვართ, რომ მაკედონიის საერთაშორისო საფინანსო კომისია გაუქმდესო. ოსმალეთი უკვე დიდი ხანია ცდილობდა ამ კომისიის გაუქმებას. კომისია დაარსდა 1905 წლის დამდეგს და შესდგებოდა: ავსტრია-ჰუნგრეთის და რუსეთის სამოქალაქო აგენტებისაგან და ინგლისისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენელთაგან. მისი მოვალეობა იყო კანტროლი გაეწია მაკედონიის სამივე ვილაეთის საბიუჯეტო ანგარიშებისთვის და თვალყური ედევნებინა, რომ ოსმალელ მოხელეებს სამართლიანად ელოთ გადასახადები მაკედონიაში. ეხლა მაკედონიის ფინანსების კანტროლი თითონ ოსმალეთის მთავრობის ხელში იქნება, მხოლოდ სახელმწიფოებმა მაინც პირობად დასდეს რომ მაკედონიის ზედ-მეტი შემოსავალი მოხმარდეს თითონ მაკედონიის ვილაეთების საჭიროებას. 1907 წლის დამდეგ ოსმალეთის მთავრობამ სახელმწიფოების ნებართვით მაკედონიაში უცხოეთიდან შეტანილ საქონელს ბაჟები მოუმატა 8 პროცენტიდან 11-მდე და მას შემდეგ მაკედონიის ბიუჯეტში შემოსავალი სჭარბობს გასავალს. აი სწორედ ეს ზედ მეტი შემოსავალი უნდა მოხმარდეს თითონ მაკედონიის საჭიროებასვე.

ამ საერთა-შორისო საფინანსო კომისიის გაუქმებას სთვლიან ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის დიდ გამარჯვებად. ევროპის სახელმწიფოებმა ამ გაუქმებით ნდობა გამოუცხადეს ოსმალეთის ახალ წესწყობილებასა და მის ხელმძღვანელებს.

**დარდანელის სრუტის საქმე,**

რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გაზეთების ცნობა, ვითომ რუსეთი ამ ჟამად დარდანელის სრუტის გახსნას ცდილობდეს, — ტყუილიაო. ამ საქმეზე რუსეთს სრულიად არავითარი მოლაპარაკება არ გაუმართავსო.

ამის თაობაზე გერმანული გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი სწერს:

„თუმცა რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად უარჰყო, ჩვენ მაინც ვამტკიცებთ, რომ კოუსში შეხვედრის დროს ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება გამართეს დარდანელის სრუტის საქმეზე. კოუსში რუსეთს არ მოუთხოვნია ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა, მან მხოლოდ თავისი განზრახვა შეატყობინა ინგლისს, რომელმაც ამ ჟამად ასეთი მედგარი წინააღმდეგობა აღარ გაუწია რუსეთს, როგორც შარშან, შემოდგომაზე, როდესაც ეს საქმე უმთავრესად ინგლისის წინააღმდეგო-

---

და სხვა სფეროში ტრიალებს. მე სწორედ იმას ვამბობდი, რომ ერთი ერის პროლეტარიატს შეუძლიან და კიდეც უნდა ჰქონდეს სოლიდარული კავშირი სხვა ერთა პროლეტარებთან, მათ შეუძლიანთ საერთო ძალით სოციალიზმის განხორციელებაც, მაგრამ თვითეული ერის სწორედ პროლეტარიატს თვით მოწინააღმდეგე კლასებთან აქვს ათასი სხვა სოციალურ-ორგანიული კავშირი, რომელსაც იგი ვერ მოსცილდება, რადგანაც ერი ორგანიზმია მიუხედავად კლასსთა უუსასტიკესი ბრძოლისაც. როდესაც კლასსთა ბრძოლა მოისპობა, ესე იგი გადასწყდება საკითხი შინაგან სოციალურ წინააღმდეგობისა, ერები ამით სრულიადაც არ მოისპობიან, არამედ შეერთდებიან ინტერნაციონალურ კავშირითა, სამართლითა. ათასჯერ განვიმეორე, რომ სოციალიზმი საკითხია საზოგადოების შინაგან სტრუქტურის გარდაქმნისა, ეროვნული კი — საკითხია მთელის ორგანიზმის დაცვისა. მაგრამ ჩვენ ფილისტერს ისე აქვს გამჯდარი თავში თავისი დავითნი, ისეა მოკლებული აზროვნებისა და წაკითხულის გაგების ნიჭს, რომ სრულიად ვერა გაიგო რა ჩვენის ნალაპარაკევიდან და აი რა პასუხს იძლევა:

პროლეტარიატს სწამს ეროვნული საკითხი, რადგანაც იგი მეტს ტანჯვას განიცდის მჩაგვრელ ერისაგან. მაგრამ ინტელიგენცია ისეთ ნაირად აყენებს ეროვნულ საკითხს, რომ ეროვნული იდეალი ბურჟუაზიისაკენ ხრის სასწორს. ამიტომ ყოველი ერის პროლეტარიატი სხვა ერის პროლეტარიატთან სოლიდარობით არის შეკრული, სცდილობს რომ გააუმჯობესოს პროფესიონალური კავშირები, ასწიოს ხელ-ფასი, და საერთოდ სოლიდარულად იმუშაოს ინტერნაციონალურმა პროლეტარიატმაო.

აგრეთვე პოლიტიკაში მუშები და ბურჟუები ვერ შეთანხმდებიან, რადგანაც ერთის პოლიტიკის მამოძრავებელია არის „სამუშაო და იაფი პური“, — მეორესი კი — „იაფი სამუშაო ძალა და მაღალი ფასები საქონელზეო“. ამ მხრითაც, ე. ი. კერძო გაუმჯობესებათა ნიადაგზე ყველა ქვეყნის პროლეტარები უნდა შეერთდნენო და სხვა. შემდეგ — ბურჟუაზია წინააღმდეგია სოციალიზმისა, მომხრე და დამცველია კერძო საკუთრებისა, პროლეტარიატი კი კოლლექტიური საკუთრების მომხრეაო, ამ ნიადაგზე მათ შორის შეუბრალებელი ბრძოლა არისო, — და კიდევ ვინ იცის, რა არ ილაპარაკა რაჟდენიძემ. მან პასუხის მაგიერ მთელი პროგრამმა მინიმუმი და მაქსიმუმი გამიზეპირა თავის პარტიისა, და ეს პასუხი ჰგონია! აბა ერთი ვინ ეკითხებოდა მას ან პროგრამმა მაქსიმუმზე ან მინიმუმზე, ან ბურჟუის ბურჟუობაზე და ან პროლეტარის სოციალისტობაზე! აბა, როდის და ვინ უთხრა, რომ პროლეტარებში სოლიდარობა არ უნდა იყოს ამ პროგრამათა განხორციელებისათვის! მე სწორედ იმას ვამტკიცებდი, რომ შეიძლება სოციალისტიც იყო და ანხორციელებდე შენს პროგრამმას სხვასთან სოლიდარობით, და ნაციონალისტიც, ე. ი. შეიძლება ემსახურო შინაგან სოციალურ იდეალსა და თანაც ერის გარეგან განთავისუფლების საქმეს, რადგანაც ეს ორი საკითხი სხვა და სხვა სფერაშია და პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ხშირად კი კიდეც უშლის სოციალურ გარდაქმნის საქმეს ერის პოლიტიკური მონობა მეთქი. ეს იყო ჩემი თეზისი, ამის უარყოფის მაგიერ კი რაჟდენიძე პროგრამმას მიყვება თავიდან ბოლომდის, თითქოს იგი ერთხელ და ორჯერ გამეგონოს და თანაც მასწავლის — ბურჟუაზია სოციალისტი არ არის, პროლეტარიატი კი სოციალიზმის მომხრეაო! აბა სწორედ ეს არის — დიაკონს რომ უმაღლესს ღვთისმეტყველების ლექციას უკითხავდე და ის კი თავის „მამაო ჩვენოს“ გაიძახოდეს!

ციტატა ყოველთვის ღუპავს ფილისტერებს. ბ-ნი რაჟდენიძე ამბობს, პროლეტარიატი ეროვნულ საკითხშიაც სოლიდარობის „თვალთა ხედვიდან გამოდის(!)-ო“, მისთვის საჭიროა საერთაშორისო სოლიდარობა და არა ერთა გამწვავებული ბრძოლა „უფლობის(!) დასაპყრობადო“. მისი მისწრაფებაა ყველა ერის თავისუფალი განვითარება და არა ერთი ერის, ერთი ერისაგან სხვა ერის გასრესა. მუშათა კლასი ამიტომ თხოულობს, რომ (მოჰყავს ოტტო ბაუერის ციტატა): „კონსტიტუცია შეძლებას აძლევდეს ყველა ერს განავითაროს თავისი კულტურა, რომ იგი არ იწვევდეს ორ ეროვნებათა(!) ბრძოლას „უფლობისთვის“(!) და სახელმწიფოზე განსაკუთრებულ გავლენის მოპოვებისთვის, ისეთ კონსტიტუციას, რომლის დროსაც ერის უფლებას საფუძვლად არ ექნება უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზედ“. ისეთ კონსტიტუციას თხოულობსო, დასძენს ბ. რაჟდენიძე, „ისეთ ეროვნულ ურთი-ერთობას სახელმწიფოში, რომ თვითეულ ერს უზრუნველყოფილი ჰქონდეს შეუჩერებელი კულტურული განვითარება და **ყველა ერის მუშების — ამ ეროვნულ კულტურაში მონაწილეობა**“-ო.

მართალი მოგახსენოთ, იმას გარდა რომ ციტატა უთავბოლოდ ჩაუჩხერია რაჟდენიძეს ამ ადგილას, ციტატიან მის აზრიანად ყოველივე ესე ისეთი უაზრობაა, რომ არა მგონია იგი რაჟდენიძის მეტს სხვას ფიქრადაც ვისმე მოუვიდეს. ჯერ ერთი, ვინ ეუბნება ან ოტტო ბაუერსა და ან რაჟდენიძის, სოლიდარობა უნდა უარ-ჰყოს პროლეტარიატმა ეროვნულ საკითხშიო. პირიქით, ჩვენ იმას ვამტკიცებთ, რომ სოლიდარობა უნდა იყოს, და ეს სოლიდარობა ხელს არ უშლის ეროვნულ სრულ თავისუფლებას; ერის მონობა უშლის ხელს ამ სოლიდარობას, და არა წინააღმდეგ. მეორე — ვინ ამბობს, რომ ეროვნული ბრძოლა „უფლობის დასაპყრობლად“ უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოში, ან სხვა ერებზე გაბატონებას უნდა მოასწავებდეს. პირიქით — ეროვნული ბრძოლა ერთა დამოუკიდებელ არსებობის უფლების (და არა „უფლობის“) მოპოვებისთვის უნდა სწარმოებდეს, რომ ნამდვილი საერთაშორისო სამართალი განხორციელდეს ნაცვლად თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო „უსამართლო“ სამართლისა. ვის წარმოუდგენია აგრეთვე, რომ ეროვნული ბრძოლა უსათუოდ სხვა ერებზე ბატონობას უნდა მოასწავებდეს სახელმწიფოში? ვისაც ასეთი წარმოდგენა აქვს ეროვნულ ბრძოლაზე, იგი, თვინიერ შოვინიზმისა, ვერას ჰხედავს ეროვნებათა მოძრაობაში, მაშასადამე, არავითარი წარმოდგენა არა აქვს ერთა მთელს ისტორიულ მსვლელობაზე, იგი ყოველ შემთხვევაში მარტო გაბატონებულ ერთა შოვინიზმსა ჰხედავს, და არა კანონიერ და სამართლიან ეროვნულ მოძრაობას, რომელიც პირდაპირი უარ-ყოფაა თანამედროვე დიდ ერთა და სახელმწიფოთა შოვინიზმისა. ან კიდევ რა შუაშია აქ ბაუერის ციტატა: რომელმა კონსტიტუციამ უნდა განავითაროს ერთა შემარიგებელი კულტურა, მერე კიდევ ისეთი კულტურა, რომელიც უმცირესობას არ გააბატონებს უმრავლესობაზე: ვინ ელაპარაკებათ ასეთ „კონსტიტუციაზე“; ვისა აქვს ფიქრად ისეთი კონსტიტუციის მოპოვებისათვის ბრძოლა, რომელიც ქართველს გააბატონებს რუსზე! ან რომელი კონსტიტუცია იქნება ისეთი, მაგალითად რუსეთში, რომ ქართველს ან სხვას სრული კულტურული განვითარების უფლება მისცეს: ცხადია, ასეთი კონსტიტუცია შვეიცარიისას უნდა ჰგავდეს, ან შეერთებულ შტატებისას, ან ინგლისის დიდ კოლონიებისას, მაგრამ ასეთი კონსტიტუცია ფედერატიულია, ან დამოუკიდებლობა სუვერენიტეტოდ, და ნუ თუ ასეთი რამის მომხრეა ჩვენი განთქმული მცოდნე სახელმწიფო სამართლისა? მაშინ რაღას გვეჩხუბება და გვეკამათება? ურჩევნია უალაგ-ალაგოდ თავისი გამამტყუნებელი ციტატები არ მოიყვანოს ხოლმე, მით უმეტეს რომ, თუ აქ კონსტიტუციის ძალით უმცირესობა ვერ გაბატონდება უმრავლესობაზე, ვერც უმრავლესობა გაბატონდება უმცირესობაზე: ამ უკანასკნელს[1]) უნდა ჰქონდეს თავისი საკანონმდებლო ორგანოები, აღმასრულებელი ორგანოები და თავისი წარმომადგენელი ცენტრში, ურომლისოდაც შეუძლებელია, აბსურდია ერის ეროვნულ კულტურის „შეუჩერებელი“ განვითარება. — მაგრამ ეს რაღა ლათაიაა, რომ ყველა ერის მუშებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ ეროვნულ კულტურაშიო! თუ ეს იმ აზრით არის ნათქვამი, რომ სხვა ერის მუშებს საზოგადოდ ექნებათ იქ სამუშაო, ისარგებლებენ ყოველივე იმითი, რასაც ეროვნული კულტურა შეჰქმნის, და შეიძლება მოისურვონ ამ ერის სულიერ კულტურის შეთვისება, — რომელი გიჟი, თუ გინდ ბურჟუაც, ჩასწერს თავის პროგრამმაში — აბსოლიუტურად აღუკრძალოთ ყოველივე ესე სხვა ერის მუშებსაო. მაგრამ თუ პირდაპირ გავიგებთ ამ უცნაურ აზრს, საკვირველია როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა რუსის მუშამ ფინლიანდიის მწერლობაში, ხელოვნებაში, მუსიკაში და ერთობ კულტურაში? ორი გზა აქვს რუსის მუშას: ან მოყვარული უნდა იყოს სხვა ერთა კულტურის შესწავლისა და უნდა შეისწავლოს ფინლიანდიური კულტურა, რადგანაც იქა სცხოვრობს, ან უნდა გაფინლიანდიელდეს. მაგრამ არც ასეთი მუშები უნახავს აქამდის არავის, და სხვა ეროვნების მუშები კი ყოველთვის თხოულობენ თავიანთ ეროვნების კულტურის უზრუნველყოფას და არა სხვის კულტურაში რაღაც უცნაურ მონაწილეობას; ხოლო მცირე რიცხვია უცხო მუშათა განსაზღვრულ ხალხის ტერიტორიაზე, რომელიც თავის ეროვნებას ჰკარგავს და ამითი თავდება მისი მონაწილეობა სხვის კულტურაში.

**B.**

(შემდეგი იქნება)

[1]) ჩვენ აქ ვგულისხმობთ ტერიტორიის მქონე ერებს უპირველეს ყოვლისა.

ბის გამო ჩაიშალა. „ჯერ ვერ გაიგეს, რით აიხსნება ასეთი ცვლილება ინგლისის პოლიტიკაში, რად შეიცვალა მან გუნება: ნაკლებად თანაუგრძნობს ოსმალეთს, თუ საჭიროდ დაინახა უფრო მჭიდრო დამეგობრება რუსეთთან. ასეა თუ ისე, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი ამ ჟამად კმაყოფილი უნდა იყოს ინგლისის თავაზიანობით: ჩვენ გავიგეთ, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ადგენს ახალ პროექტს დარდანელის სრუტის საქმის გადასაწყვეტად“.

გაზეთი ირწმუნება, რომ ეს ცნობები საფრანგეთის სარწმუნო წყაროდანაა მიღებულიო.

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტს უსაუბრნია მრეწველთა და მუშათა მეთაურებთან.

მრეწველთა კავშირის მეთაურს ფონ-სიდოვს უთქვამს მისთვის, რომ მრეწველებს ფიქრადაც არ მოსდით მუშებთან შორიგება და ამიტომ ამ ჟამად უსარგებლო იქნება შუამავლობაო. რისამე დათმობაზე ხომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან მრეწველთა კავშირი ბეჯითად თხოულობს ყველა თავის პირობის შესრულებას და მომზადებულია ხანგრძლივის ბრძოლისთვისო.

მუშების მეთაურს ლინდკვისტს უთქვამს კორესპონდენტისთვის: გაფიცვამ შეიძლება მეტად დიდხანს გასტანოს, რადგან მთელის ევროპის მუშათა ორგანიზაციებმა მოგვალეობა იკისრეს—თვე და თვე რიგზე ფული შემოიტანონ გაფიცვის ფონდში; პაწაწკინტელა ქვეყნების მუშებიც-კი დაგვპირდნენ ფულის გამოგზავნას. მთავრობა შემეკითხა, წინააღმდეგი ხომ არა ხარო, რომ ვინმემ შუამავლობა გასწიოსო: მე (ლინდკვისტმა) ვუპასუხე: მუშათა კავშირი მხოლოდ იმ პირობით გაჰმართავს მოლაპარაკებას მრეწველებთან, თუ რომ მრეწველთა კავშირი დასთანხმდება მუშების მიერ წარდგენილს უმთავრეს პირობებსო.

ერთმა გაზეთმა სტოკჰოლმში ცნობები შეკრიბა მაღაზიების პატრონებისგან იმის შესახებ თუ რამდენად დიდი ზარალი მოსდით მათ გაფიცვისგან. მაღაზიების პატრონებმა განაცხადეს, რომ ყოველდღიურ ვაჭრობას მესამედი დააკლდაო.

## რუსეთი

**დაპატიმრება** დაუპატიმრებიათ ლარიჩკინი. ლარიჩკინი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრია და ბრალდება გერცენშტეინის მკვლელობა.

**შეკითხვა.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ზოგიერთი დეპუტატები მასალას აგროვებენ, რომ სახელმწიფო სათათბიროს მომავალ სესიაში შეკითხვა შეიტანონ გარტინგ-ლანდეზენის შესახებ.

**ქაღალდის თამაშობის წინააღმდეგ.** „ბაკუ“-ს ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ: ოდესელ ნაფიც-ვექილთა საბჭომ დაადგინა, ნაფიც-ვექილებს ეკრძალებათ იმ კლუბების მამასახლისობა, სადაც ქაღალდის თამაშს მისდევენ.

**„ანგელოზების ქარხანა.“** რაც დღე გადის, უფრო მეტ სისაძაგლეს აჩენენ იოანნიტების მოქმედებიდან. ამ სექტის მიმდევრებს განსაკუთრებული სახლები აქვთ დაქირავებული („ანგელოზების ქარხანა“), სადაც ჰკრეფავენ ბავშვებს და „სწრთვნიან ღვთის გულისთვის“. პეტერბურგელ და მოსკოველ იოანნიტების შესახებ უკვე გვქონდა ცნობები. „რეჩი“-ს სიტყვით იოანნიტები კიევში მოქმედებენ თურმე. პოლიციას ამ დღეებში ქალაქის განაპირა ადგილებში, ნაგავში 7 ბავშვის გვამი აღმოუჩენია. პოლიცია გამოძიებას შესდგომია და მალე იოანნიტების „ანგელოზთა ქარხნისათვის“ მიუგნია. შემდეგ გამოძიებას გამოურკვევია, რომ ეს 7 ბავშვი ამ „ქარხანაში“ გარდაცვლილა და იოანნიტებს მათი გვამი ქალაქის განაპირა ადგილებში, ნაგავში გადუგდიათ.

**მაზრის უფროსი.** „ურალ. ჟიზნ.“-ში ვკითხულობთ: ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქ ტიუმენის მაზრის უფროსად ვინმე სკატოკი დანიშნეს. სკატოკი ტიუმენში ჩასვლისთანავე ღამ-ღამეობით ქალაქის რევიზიას შეუდგა. რევიზია ასე ხდებოდა: მაზრის უფროსი გადაიცვამდა ტანისამოსს და ქალაქის ბნელ ქუჩებში დადიოდა. აქ გამვლელ-გამომვლელებს ეკითხებოდა, სადა ჰყიდიან საიდუმლოდ არაყს, როგორ იქცევიან ესა და ეს მოხელეები და სხვა. ერთ ამისთანა რევიზიის დროს მაზრის უფროსს ცოტა რამ უსიამოვნება შეემთხვა. სხვათა შორის სკატოკი დ-რაჯს (გოროდოვოის) შეეკითხა, როგორი მაზრის უფროსი გყავთო. დარაჯმა მაზრის უფროსს ერთი მაგრა შეუკურთხა, ადამიანი კი არა ჯოჯოხეთიაო. მაზრის უფროსმა ასეთი შეურაცხყოფა ვერ აიტანა დარაჯს იქვე უთხრა, ვინც იყო და მეორე დღეს დარაჯი ტიუმენიდან გააძევა.

**ჩვეულებრივი მოვლენა.** „ნოვაია რუსი“ შემდეგს ამბავს გადმოგვცემს: „პეტერბურგის სადგურზე, ნაშუადღევის 3 საათზე ოთხი აფიცერი და ერთი ქალი პირველ კლასის ბუფეტში ვახშმობდნენ. როდესაც კარგად გადაჰკრეს, აფიცრები ქალით სადგურზე გავიდნენ და მატარებელს დაუწყეს ლოდინი. შექეიფიანებული კომპანია სადგურზე დასეირნობდა. ქალიც ცოტა გადაკრულში იყო. ამ უკანასკნელს წამოსხმული ჰქონდა პოლკოვნიკის პალტო და აფიცრებს წინ მიუძღოდა. მალე სადგურზე სადგურის უფროსი გამოვიდა. „გახურებულმა“ ქალმა სადგურის უფროსის დანახვაზე ხმა მაღლა დაიყვირა: „შეხედეთ, წითელ თავიანი მოდის“... და თან მაგრა შეიგინა. რა თქმა უნდა სადგურის უფროსს „გახურებულ“ ქალის „ხუმრობა“ არ მოეწონა და ქალს ზრდილობიანად მიმართა, თავი დამანებეთ, მე მგონი არაფერი დამიშავებიაო. ამ სრულიად ზრდილობიანმა შენიშვნამ ისე გააბრაზა „გახურებული“ ქალი, რომ მას დაავიწყდა თავის მდგომარეობაც,—ისიც, რომ ქალი იყო და სადგურის უფროსს მივარდა: „უზრდელო, ბრიყვო, ვის უბედავ მაგასო“ და სხვა. სადგურის უფროსმა ამაზე ასეთივე სიტყვებით გასცა პასუხი. „გახურებულ“ ქალის „გადაკრულმა კავალრებმა“ ვეღარ მოითმინეს და ეს სადგურის უფროსს ცემა დაუწყეს. სადგურის უფროსმა ამითვე გასცა პასუხი. ეს იუკადრისეს აფიცრებმა, იძრეს ხმლები, მისცვივდნენ სადგურის საწყალ უფროსს, წააქციეს და ფეხებით ზედ შესდგნენ. სადგურის უფროსის ყვირილზე გაჩნდა ჟანდარმი, მაგრამ აფიცრების დანახვაზე უკან დაიწია. ან კი როგორ არ დაიხევდა, რომ აფიცრებმა პირდაპირ უბრძანეს: „დაიკარგე, შენ შენი ალაგი იცოდე და სადაც არ გკითხულობენ, ცხვირს ნუ ჰყოფ იქაო“. ჟანდარმის წასვლის შემდეგ აფიცრებმა უფრო უმატეს ცემას. ამ დროს მოვიდა მატარებელი. სადგურის უფროსის ყვირილზე მგზავრები ფაეჯრებს მისცვივდნენ. რაკი მგზავრებმა ხმალ-ამოღებულების დანახვაზე იფიქრეს, რომ სადგურს ექსპროპრიატორები დასცემიანო, და მათაც ყვირილი ასტეხეს. მთელ სადგურზე ერთი ჯოჯოხეთი იყო, ქალი, ბავშვი, კაცი სულ ყვიროდნენ. ბოლოს როგორც იყო გაიგეს რაშიაც იყო საქმე და ერთმა მგზავრმა ტელეფონით კომენდანტს შეატყობინა. მხოლოდ კომენდანტის მოსვლისას დაანებეს „გადაკრულმა აფიცრებმა“ თავი თავიანთ მსხვერპლს.

**ოდესის ქალაქის გამგეობა.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება ამ რამდენიმე დღის წინად ოდესის ქალაქის გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ებრაელებს საარჩევნო უფლებები წაერთვათ. როგორც „რუსკ. სლოვო“ გამოგვცემს ქალაქის გამგეობა აღარ ასძრავს ასეთ შუამდგომლობას. სჩანს „ჭეშმარიტ რუსებსაც“ კი შერცხვათ. თავიანთი საქციელის!!

**დაჯარიმება ეროვნულ ჰიმნის შესრულებისთვის.** „რუსკ. სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ; პეტროვოკის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორმა 100 მანეთით დაჯარიმა ჩესტოხოვის ჯარის ორკესტრის კაპელმეისტერი ნეიდარი, რომელმაც ორკესტრს დააკვრევინა პოლონეთის ეროვნული ჰიმნი: „ღმერთო შეინახე პოლონეთი“.

**საერობო უფროსი კოლი-ბაბა.** ამის შემდეგ ცნობილ საერობო უფროსი კოლი-ბაბა, რომელმაც სოფელ კუმატს თავის შრომით ქალთა გიმნაზია მოუპოვა (მემამულე ცანკო და კოლი-ბაბას სანაძლეო), „რეჩის“ სიტყვით პეტერბურგში გაუწვევიათ. როგორც გაზეთი ირწმუნება, კოლი-ბაბას დააწინაურებენ.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ვარშავაში 3, უფაში 5, ოდესაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: რეველში 1, ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, სამარაში 1, მოგილევში 2 კაცა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მივმართო ჩვენის ქვეყნის გულ-შემატკივარ მეურნეთ და მცოდნეთ, მოგვაწოდონ შემდეგი ცნობები: 1. რომელი ფირმის ორთქლის სახნავი, სალეწი, სამკელი და სხვა მანქანა უფრო ხელმისაწვდენია და გამოსადეგი ქიზიყში? 2. ვინ ითავებს ამ მანქანების მოწყობას და რა ჯამაგირს მოითხოვს.

რადგან ბოლო დროს რუსის გლეხებმა შემოიღეს სალეწი მანქანები და ხალხი დარწმუნდა მათ სარგებლობაში, სოფელს უნდა მათი შოვნა კერძოდ და მე მთხოვა რამდენმა მე სოფელმა, დავეხმარო და ხელი შეუწყო მანქანების შეძენაში, ამისთვის ვთხოვ როგორც კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, ისე სხვა მეურნეთ, მამაწოდონ ეს ცნობები გაზეთის საშუალებით ან პირდაპირ ჩემს სახელზე, რაც შეიძლება სჩქაროდ, შემდეგის ადრესით: სიღნაღი, კ. ი. ტყავაძეს.

კ. ტყავაძე.

---

(ბ-ნ კ. თუმანიშვილის წერილების გამო ზესტაფონის ბანკის შესახებ. იხ. „ივერია“, N N 26 და 29).

სანამ განზრახულ საგანზე ვიტყოდეთ რასმეს, ზედ მეტად არ მიგვაჩნია, გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას მოკლედ ზესტაფონის ბანკის ისტორია.

ზესტაფონის ბანკი დაარსდა 1904 წელს, ნოემბრის თვეში. საქმეები დაარსებიდან კარგად მიდიოდა, მაგრამ თითქმის ერთი წლის შემდეგ, ესე იგი 1906 წლის იანვრის პირველს რიცხვებში, დაარბიეს დასწვეს ზესტაფონი და ასეთივე დღე დაადგა ზესტაფონის ბანკს. დაიწვა ყოველივე, რაც კი ბანკის ქონებას შეადგენდა. არ დარჩენილა არც ერთი ფურცელი ქაღალდი, რომ იგი ბანკისთვის გამოსადეგი ყოფილიყოს. აი, ამ შემთხვევით ისარგებლა მრავალმა პირმა: დაიკარგა ბანკის კასიდან შეუსაბამოდ გატანილი 6 ათას მანეთზე მეტი ნაღდი ფული, გაჩნდა ყალბი საბუთები, რითაც ბანკს ახდევინებდნენ ფულს და აგრეთვე იმალებოდა ბანკიდან სესხად გატანილი ფულის რაოდენობა, რადგან იცოდნენ, რომ ბანკს ფულის გადასახდევინებლად აღარაფერი საბუთი მოეძევებოდა.

ყველა ამაებმა ბანკს მისცა 24 ათასი მანეთის ზარალი და ამასთან შეძინა მრავალი მტერი, რადგან ზოგიერთი პირი ბასუხის გებაში ც იქნა მიცემული. ეს საქმე ჯერაც არ გათავებულა სასამართლოში. ამას მოჰყვა 1906 წელს ერთი და 1907 წელს ხუთი ათასი მანეთი ზარალი ოპერაციებიდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთმა წევრმა ბანკის დახურვის სურვილიც-კი განაცხადა, მაგრამ 1908 წლის კრებაზე ერთხმად დადგენილ იქმნა ზარალის შევსება, რომლის დადგენილებაც საჩქაროდ სისრულეში მოვიდა.

ზარალის შევსებამ და მასთან, ჩვენ არ მიგვაჩნია ვთქვათ, გამგეობის ერთგულმა მოქმედებამ, ბანკის საქმე გამოაკეთა, რის დამამტკიცებელ საბუთად გახდა ის, რომ 1908 წლის ბანკის ანგარიში დასრულდა, თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მოგებით. ამ 1909 წელსაც საქმე თან და თან უმჯობესდება. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ამა წლის 19 ივლისს მომხდარმა ბანკის საზოგადო კრებამ დაადგინა, გადიდებული იქნას 10% საწევრო თანხა 20%, ეს იგი 16500 მანეთი-მანეთი, 33000 მანეთი, რასაც ეჭვს გარეშეა დიდი გაუმჯობესება მოჰყვება ბანკის საქმეებისა.

არ ვიცით, რას მივაწეროთ ბ-ნ კ. თუმანიშვილის მოსაზრება, რომელიც სულითა და გულით სცდილობდა არ გადიდებულიყო ზესტაფონის ბანკის საწევრო თანხა და რომელიც ურჩევდა ბანკის წევრთა, არ შესცდეთ, არ გაადიდოთ თანხა, ეს საზარალო საქმეაო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავდა ის ფაქტი, რომ ზესტაფონის ბანკში საწევრო ფული უსარგებლოდ არის გაჩერებული, ხოლო ტყუილად ფულის გაჩერებას ისა სჯობია შევიტანო სახელდახელო ანგარიშზე და ასი მანეთი წელიწადში სამს მანეთს მაინც მომცემს სარგებელსო. ბ-ნი თუმანიშვილი ზარალად სთვლის საწევრო ფულის გაცდენას და სასარგებლოდ არ მიაჩნია ის, რომ საჭიროების დროს წევრი ბანკიდან სესხულობს ზომიერ %-ით ფულს.

ბ-ნ თუმანიშვილის აზრით მცირე თანხითაც შეიძლება ნდობის მოპოება. ჩვენი აზრით კი თუ ცოტა თანხით შეიძლება ნდობის მოპოება, მეტი თანხით შეიძლება უფრო მეტი ნდობის მოპოება. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და ამის მტკიცება სირცხვილადაც მიგვაჩნია.

ბ-ნი თუმანიშვილი თავის უკანასკნელს წერილში ბრძანებს: „მე ჭიათურის ბანკს დავანებე თავი მხოლოდ იმიტომ, რომ ხარჯები შემცირებულიყოო. ჩვენ ვამბობთ, ეს სიცრუეა და ამის დასამტკიცებელი საბუთიც ხელთა გვაქვს. ბ-ნი თუმანიშვილი თავის ნებით არ წარსულა ჭიათურის ბანკიდან და ერთი სიტყვაც ხარჯების შემცირებაზე არ უთქვამს. ვფიქრობთ, თუმანიშვილი დღესაც ჭიათურის ბანკში იქნებოდა, რომ მისთვის წლიურად ორი ათასები ეძლიათ, მაგრამ...

დასასრულ უნდა მოვახსენო ბ-ნ კ. თუმანიშვილს, რომ მე სრულებით არ მაშინებს მისი შეტილება დირექტორობაზე. მე უჯამაგირო დირექტორი ვარ და ის კი უჯამაგირობას მიჩვეული არ არის, რომ საზოგადოებამ კიდეც ისურვოს იგი ზესტაფონის ბანკისთვის.

ზესტაფონის ბანკის შესახებ ჩვენ ყოველსავე კამათს ვსწყვეტთ ბ-ნ თუმანიშვილთან.

ზესტაფონის ბანკის გამ. თავმჯ.

ტ. ნიჟარაძე.

---

ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის „დროების“ მე-167 ნომერში მოთავსებულია სურამიდან კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის იხსენიებენ, რომ მე, სურამის პროგიმნაზიის გამგეობის წევრს, უბილეთოდ პარკში შესვლის ნება არა მქონდა 19 მკათათვეს, როდესაც სეირნობა იყო გამართული ხსენებულ სკოლის სასარგებლოდ. აი, საქმის გარემოება: ამ სეირნობის სასარგებლოდ მე და ჩემმა ცოლმა შევსწირეთ: ნაქსოვი ფართუკი, პატარა სარკე, გულზე ჩამოსაფარებელი ბავშვისა, სამი ხელსახოცი და კარანდაშები. გარდა ამისა, ჩემსავე ცოლს ნაყიდი ჰქონდა ჯეროვანი ბილეთი სეირნობაზე დასასწრები. მხოლოდ მე და ჩემთან სხვა სამმა ადგილობრივმა ინტელიგენტმა მოვისურვეთ პარკში შესვლა უკვე ნასყიდ საზაფხულო ბილეთებით, რომლის ძალითაც ყოველს პირს ყოველს შემთხვევაში ეძლევა უფლება უფასოდ პარკში შესვლისა. როგორც ჰხედავთ, აქ გასახვიადებელი არა არისრა, მით უმეტეს, რომ ბ-ნმა კორესპონდენტმა, ალბად, კარგად უწყის, რომ რაც ხანი ვითვლები გამგეობის წევრად, მეც სხვასთან ერთად არ დამიზოგავს თავი და შრომა შეძლებისადაგვარად. განსაკუთრებით კი 6 იანვარს ამა წლისა გავმართე პროგიმნაზიის მოწაფეებისთვის ჩვეულებრივი შობის ხე, რის გულისთვისაც შევკრიბე 57 მანეთი და იმის გარდა, რომ ბავშვები დაკმაყოფილებულნი და დასაჩუქრებულნი წავიდნენ, კიდევ გადავარჩინე 15 მანეთი, რომელიც სწავლის ფულის შესავსებად გადავეცი პროგიმნაზიის ღარიბ მოწაფეებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მომაკვდინებელი ცოდვა არა ჩამიდენიარა და თუ ბ-ნ უიმედოს სურს უსათუოდ ცოდვილად ჩამთვალოს—ეს იმისი ნებაა.

გ. ბარუქჩოვი.


კომერციულ სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება

მე-2 8 კლ. კომერციული სასწავლებელი

გაიხსნება ამა წლის 1 სექტემბრიდან. თხოვნები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდა—31 აგვისტოს. გამოუცდელად მიიღებიან პირველ კლასში ატესტატის კონკურსით პირველ-დაწყებით სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, მე-4 კლასში კი ისინი, ვისაც დაუსრულებია 4 კლ. იაფი საქალაქო სასწავლებელი. სწავლის ფასი წლიურად 80 მან. დროებით ადრესი; თუმანოვის ქუჩა N 13, ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლა.

(1—გაკ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვებით, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1—2 ნახ. საათამ საშვებით და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საშვებით, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარცაშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ.—1—149)

ზაქარია ჭრიქუროვის წიგნის მაღაზიის გამოცემანი

[illegible]:

1. „საღმრთო ისტორია“ ძველი და ახალი აღთქმითა, სურათებით . . . 40 კ.
2. „ლოცვანი“ ქართულად და რუსულად . . . . . . . . 20 „
3. „რეინიკე კუდა-მელა“, სურათებით . . . . . . . . 50 „

არისტო ქუთათელაძისა:

4. ქართული გრამატიკა . . . . . 40 „
5. „წყარო“, ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი . . . . . 25 „
6. „წყარო“, წიგნი მეორე . . . . 50 „
7. საზოგადო გეოგრაფია, ნაწილი პირველი, სურათებით. . . . 30 „

ანტონ ნატროშვილისა:

8. სახელმძღვანელო საღმრთო სჯულისა, ნაწილი პირველი. . . . 15 „
9. იგივე, ნაწილი მეორე. . . . 25 „
10. „ათას ერთი ღამე“, სურათებით ჯანაშვილისა . . . . . . . 40 „
11. Гогебашвили: „Русское Слово“ I ч. 40 „
12. Храмеловъ: „Краткій учебникъ географіи Кавказа“ . . . . . . . 50 „

ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 20 პროცენტი. იმავე პირობით იყიდება იაკობ გოგებაშვილის ყველა წიგნები. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ: Въ г. Тифлисъ, „Кавказская книжная торговля“ Захарія Грикурова. (3—408—1)




ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, კერვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—63)

პროვოდნიკის

1897 წ. 1888

1908 წ.

ამხანაგობა რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნაღდად და ნისიად:

დარეზინებული წყალ გაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასებში.

დარეზინებული შამოსასხამი და პალტოები ბ-ნი ოფიცრებისთვის;

დარეზინებული მატერია სხვა და სხვა მიზნისთვის;

რეზინის ღრუბელი;

სავარცხლები რქის რეზინისაგან;

ცალობით ვაჭრობა დღე-მიუხე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა